თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

30 ოქტომბერს შენი ხმა იგებს!

შალვა კიკნაველიძე | კობა ლუესმანაშვილი | გენადი მარგველაშვილი | სულხან მახათაძე | დიმიტრი მხეიძე | კობა ნარჩემაშვილი

№21 (760) 29 ოქტომბერი, 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

უტიტულო მშვიდობის ელჩის ქართული სამშვიდობო გზავნილი აფხაზებსა და ოსებს, პარიზის „მშვიდობის კედლიდან“

წელს, მშვიდობის საერთაშორისო დღეს აფხაზეთიდან დევნილმა ბესიკ ადამიამ პარიზში "მშვიდობის კედელზე" ქართულად, ოსურად და აფხაზურადაც დაწერა – მშვიდობა - Atinchra-Sabirdzlnad..

ეს სიტყვა ამ კედელზე 49 ენაზე წერია (მათ შორის, კავკასიის ქვეყნებიდან - სომხურად), 24 საათი მონუმენტის სიმბოლურ დაცვასაც მიუძღვნა, ბანერით ხელში, რომლის წარწერით საფრანგეთსა და მსოფლიოში ტერორისტების მიერ დაღუპულ ოჯახებს მიუსამძიმრა.

„პარიზში გახლდით 20-24 სექტემბერს, 2 ღამე აეროპორტში და 2 ღამე ღია ცის ქვეშ მშვიდობის კედელთან სკამზე გავათენე-გავატარე, ამას აზერბაიჯანელებიც დაადასტურებენ, იქვე აზერბაიჯანელებს ღია ვაჭრობა გამოფენა-გაყიდვა გაემართათ. როდესაც გაიგეს, რომ მათ ენაზეც ვითხოვდი მშვიდობის დაწერას, თავს გადამყვნენ, 23 სექტემბერს კი ჩვენმა საელჩომ მომაკითხა და ლევილში წამიყვანა, მადლობა მათ. ჩამოსული გახლდათ ქ-ნ თეა წულუკიანი და დიასპორის მინისტრი, ისტორიული მომენტის მომსწრე გავხდი – ქართველებზე ოფიციალურად ლევილის მიწების გადმოფორმება. მე კმაყოფილი და მცირე დანახარჯებით დავბრუნდი პარიზიდან, რაშიც ჯარის მეგობარი დამეხმარა, ეს იყო 440 დოლარი მგზავრობის თანხა 2 მიმართულება, ქუთაისი-კიევი-პარიზი და იგივე მარშრუტი უკან, 30 ევრო ადგილზე მგზავრობისათვის და და წაღებული ტკბილი ქადები, ტკბილად დამამახსოვრდა“, – იხსენებს ბესიკ ადამია, მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბ „LLL“ - ის პრეზიდენტი.

ბესო ადამიასთვის მშვიდობის ელჩის ტიტული ჯერჯერობით არავის მიუნიჭებია, თუმცა, ქართულ- აფხაზური კონფლიქტის შემდეგ იპოვა საკუთარი მისია – მშვიდობის მშენებლობა.

ბატონ ბესოს სამშვიდობო მისიის კუთხით სხვადასხვა იდეა ხშირად აქვს. მისი საავტორო კომპოზიციაა მაგალითად, ერთმანეთის პირისპირ მდგომი ორი დაბლოკილი რევოლვერი. აქედან პირველი - შვედი ავტორის ლულაგაკოჭილი რევოლვერი, რომელიც გაეროში დგას და მეორე, ლულაზე ბოქლომდადებული რევოლვერი, ბესომ საქპატენტშიც კი დაარეგისტრირა.

ბესოს აზრით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებთან ამ კომპოზიციის დადგმა ქართული სამშვიდობო იდეოლოგიის მიმანიშნებელი იქნებოდა!

ის ასევე გეგმავს, რომ უახლოეს პერიოდში ორი დაბლოკილი მოპირდაპირე რევოლვერის კომპოზიცია, როგორც მშვიდობის სიმბოლო, გაუგზავნოს რომის პაპს, გაეროს მომავალ გენ.მდივანსა და ოსლოში (ნორვეგია) ნობელის მშვიდობის მუზეუმს.

„ცივილური სამყაროს დახმარებითა და ჩვენი სწორი აზროვნებით, იმედია, მალე ძმათაშორისი ომები კავკასიაში და საერთოდ, მსოფლიოში ძალას დაკარგავს და სახალხო დიპლომატიის ფარგლებში ჩვენი, რიგითი ადამიანების, ჟურნალისტებისა და სამშვიდობო თემაზე მომუშავე ორგანიზაციების ხშირად სახიფათო, თავდაუზოგავი ბრძოლა შედეგს გამოიღებს და დედამიწაზე მშვიდობა მეტად დაისადგურებს! გამუდმებით ჩამესმის როგორც ჩვენი კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის, ასევე - რომის პაპის სამშვიდობო გზავნილები: „მსოფლიოში ომები არა რელიგიური, არამედ ეს მეტწილად ენერგო რესურსებისათვის ბრძოლაა და მას უამრავი უდანაშაულო ადამიანები ეწირება.“ – ამბობს ბესიკ ადამია.

ბატონი ბესიკი ქუჩებში საკუთარი, გამორჩეული სამშვიდობო ავტომობილით გადაადგილდება, რომელიც ძალიან ეამაყება და მოსწონს. ავტომობილით ერთი სამშვიდობო მარათონის ორგანიზებასაც გეგმავს.



ბესიკ ადამია

ბესიკ ადამია: „ჩემთვის დღესაც დიდ სიამაყეს წარმოადგენს საკუთარი ავტომობილი, რომელზეც მშვიდობა მსოფლიოს 22 ენაზე (მათ შორის, - აფხაზურ და ოსურ ენებზე) წერია და რომელსაც საინტერესო შინაარსის (მწვანე-თეთრ-წითელ ფერებში) ჩემი სამშვიდობო ლოგო „LLL“ - **(Land, Llfe, LoVe)** ამშვენებს ! მიუხედავად იმისა, რომ ცოტა კიდეც დაძველდა, ამ ავტომობილით მსურს შევასრულო სამშვიდობო მარათონი: „**თბილისი-მოსკოვი-ჟენევა-ბრიუსელი-თბილისი**!“

„მშვიდობის თავშალი“ ჰილარი კლინტონისთვის

ბატონი ბესიკისთვის ყველა თარიღი სიმბოლოებითაა დატვირთული – 26 ოქტომბერი – ჰილარი კლინტონის დაბადების დღეა, ბესიკ ადამიამ ქალბატონი კლინტონისთვის საიუბილეოდ „მშვიდობის თავშალი“ შექმნა.

„ჩემი სამშვიდობო კლუბი „LLL“ულოცავს და გვსურს გავუგზავნოთ საჩუქრად პირველად მსოფლიოში „**სამშვიდობო თავშალი**“ (იდეის თანაავტორი, კლუბის წევრი ქ-ნ მაია კუხიანიძე) ზედ სიტყვა „მშვიდობა„ მრავალ ენებზე წარწერით, გვინდა, ქალბატონმა ჰილარიმ იცოდეს, რომ კავკასიაში არსებობდა ტრადიცია, როდესაც ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის მანდილოსანი თავშალს ჩააგდებდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათ შორის წყდებოდა!

დიახ, მსოფლიო ქ-ნ ჰილარი კლინტონისაგან სამშვიდობო ინიციატივების რეალიზებასა და დადებით შედეგებს ელოდება, რომელიც თითქმის მესამე მსოფლიო-ატომური ომის პირასაა. ალბათ, ამერიკელი ხალხი ქ-ნ ჰილარის ქვეყნის აღმავლობისა და რეალური მშვიდობის საქმის საკეთებლად გამოუცხადებს ნდობას, ამერიკა-რუსეთს შორის დამოკიდებულების დალაგება, მის ხელში იგივე მშვიდობის გასაღები იქნება!

ჩვენ, ქართველებს, გეოპოლიტიკურ, მსოფლიოს სივრცეში, მშვიდობისათვის ბრძოლაში სერიოზული სიტყვის თქმა დღესაც შეგვიძლია.“

***

ბესიკ ადამიას ყველა სამომავლო იდეა მშვიდობასთანაა დაკავშირებული: „მშვიდობა დაწერილ წრეზე“ „სამშვიდობო საპარაშუტო ნახტომი“, „გაეროსა და სხვა ენებზე მშვიდობა დაწერილი სამშვიდობო მონეტა“, „-მსოფლიო მშვიდობის ჩემპიონატისათვის, მშვიდობა დაწერილი მშვიდობის ბურთი“ და კიდევ უამრავი რამ...

ბესიკ ადამია: ამ იდეების რეალიზება, გარწმუნებთ მსოფლიო მშვიდობისათვის სერიოზული ქართული გზავნილი იქნება! ჩვენ ქართველებს არ გვინდა „გაყინული კონფლიქტები„ ჩვენ „ გაყინული მშვიდობაც“ არ გვინდა, ჩვენ არა დაპირებული და გადავადებული, არამედ რეალური მშვიდობა, დღეს გვინდა!

მაკა ჩინიჯიშვილი

ევა ხუტუნაშვილი: „ჯინი“-ს მთავარი იდეა ისაა, რომ ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ ერთმანეთს“

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი კიდევ ერთი პრემიერისთვის ემზადება. ამჯერად მაყურებელი იხილავს დონალდ ლი კობურნის პიესას - „ვთამაშობთ ჯინს“. ფსიქოდრამა ორ მოქმედებად.

სპექტაკლი იმით არის გამორჩეული, რომ ის ორი თეატრის ერთობლივი ნამუშევარია. მას შემდეგ, რაც კოტე მარჯანიშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, დედაქალაქში გადავიდა და მარჯანიშვილის თეატრი დააარსა, მესხიშვილის თეატრთან ყოველთვის კოლეგიალური დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ ამ თეატრების მსახიობებს ერთობლივი პროდუქცია არასდროს შეუქმნიათ.

სპექტაკლი „ჯინი“, რომლის რეჟისორიც გახალავთ კოტე აბაშიძე, სწორედ იმით არის გამორჩეული რომ მის სპექტაკლში პირველად თამაშობენ ორი სხვადასხვა თეატრის მსახიობები: მესხიშვილის თეატრის მსახიობი, ქართული თეატრის ვარსკვლავი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი- **ევა ხუტუნაშვილი** და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **გივი ჩუგუაშვილი.**

მოქმედება ვითარდება მოხუცთა თავშესაფარში და ის მთლიანად აგებულია ორი ადამიანის ურთიერთობაზე, რომლებიც ძალიან მძიმე ფსიქოსოციალურ გარემოში ცხოვრობენ. მათ უყვარდებათ ერთმანეთი, თუმცა არ ყოფნით ნიჭი, ამ გრძნობის და ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

სცენა სპექტაკლიდან „ჯინი“

ჩვენ დავესწარით სპეკტაკლის გენერალურ რეპეტიციას, გავესაუბრეთ რეჟისორს და მსახიობებს:

„პირველად, ამ ორი თეატრის მეგობრობის და არსებობის პერიოდში ჩვენ გაგვიჩნდა იდეა, გაგვეკეთებინა ერთობლივი პროდუქცია, მაგრამ ნებისმიერ იდეა, თუ მას რეალური განმახორციელებელი არ ჰყავს, რჩება კარგი სადღეგრძელოს და სურვილის დონეზე. ამაში, პირველ რიგში, ვგულისხმობ შემოქმედებით, სამსახიობო პოტენციალს.

როცა ამ ტიპის პროდუქტი კეთდება, ირჩევა ისეთი დიდი მსახიობები,რომლებსაც ნამდვილად შუძლიათ მსგავს სპექტაკლს გაართვან თავი. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქალბატონი ევას და ბატონი გივის ფაქტორმა, რომ შექმნილიყო ერთობლივი სპეკტაკლი.

კონპროდუქცია, პირველ რიგში, არტისტების ერთობლიობას გულისხმობს, რეჟისორი შეიძლებ, საერთოდ მოწვული იყოს და არცერთ თეატრს არ ეკუთვნოდეს. როდესაც დიდ არტისტებთან გვაქვს საქმე, მასალაც შესაბამისად, რთული უნდა იყოს.

„ვთამაშობ ჯინს“ - ეს არის ძალიან რთული და ცნობილი პიესა მთელ მსოფლიოში. ზოგადად, ორკაცინი სპექტაკლები ყველზე რთული ჟანრია მთელ სამსახიობო ხელოვნებაში. ეს არის მსახიობების ურთიერთშერწყმის ყველაზე რთული პროცესი.

პიესას ორიგინალში ქვია „ვთამაშობ ჯინს“, მაგრამ ჩვენ სათაური შვცვალეთ და დავთტოვეთ, მხოლოდ „ჯინი“. რადგან „ჯინი“ ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს კარტის თამაშს. „ ჯინი“ ქართულად , კიდევ ეს არის კრებითი სახე და სიმბოლო იმ თვისებებისა, რომელიც ამ ორი ადამიანის ურთიერთობას უშლის ხელს.

სპექტაკლის მთვარი სათქმელი მაინც ის არის, რომ ადამიანურ ურთიერთობებს სჭირდება გაფრთხილება, ასაკს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან არაფერია ორი ადამიანის ურთიერთობაზე უფრო რთული“. - გვითხრა რეჟსორმა **კოტე აბაშიძემ.**

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

30 ოქტომბერს შენი ხმა იგებს!

41

შალვა კიკნაველიძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი ზესტაფონის 52-ე ოლქში

ჩემო მეგობრებო! მოგმართავთ, როგორც რიგითი ზესტაფონელი, ერთ-ერთი თქვენგანი. მე აქ, ზესტაფონში დავიბადე და გავიზარდე. ამ რაიონმა მასწავლა ყველაზე ძვირფასი, ადამიანური ურთიერთობები, ხალხის, ქვეყნის სიყვარული. აქაა ჩემი ოჯახი, აქ ცხოვრობენ ჩემი მეგობრები, პედაგოგები. ეს რაიონი ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც საკუთარი სახლი. სწორედ ამიტომ, მაქვს სურვილი, გავხდე ჩემი რაიონის ხმა, თითოეული თქვენგანის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

მოგეხსენებათ, რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. არ გვაქვს მშვიდად და უფუნქციოდ ყოფნის ფუფუნება. გლობალური და რეგიონული კრიზისების ფონზე გვიწევს, გავუმკლავდეთ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, თუმცა ნებისმიერი წინაღობა ერთად დგომით მარტივად დაძლევადია. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში, ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, მოვიპოვეთ მთავარი კონსტიტუციური უფლება – თავისუფლება. საფუძველი ჩაეყარა ბევრ სიკეთეს, ახალ მიმართულებას. დღეს კი დადგა დრო წინსვლის, მეტი სიახლის, სტაბილური განვითარების. ჩვენს პოლიტიკურ გუნდს აქვს სწრაფი და ეფექტური განვითარების ყველა რესურსი. გვაქვს მზაობა და იმედი, რომ თქვენთან ერთად შევძლებთ ქვეყნის წარმატებისა და წინსვლის სრულიად ახალ ეტაპზე გადაყვანას.

მომავალი 4 წლის მანძილზე, მე ვიქნები თოთოეული ზესტაფონელის ოჯახის ქომაგი და ინტერესების დამცველი საქართველოს პარლამენტში. ზესტაფონი გახდება უფრო საინტერესო და მიმზიდველი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის; პერსპექტიული ადგილი ახალგაზრდა თაობის განათლების, განვითარებისა და დასაქმებისთვის. გვექნება უკეთესი ინფრასტრუქტურა, სუფთა და ჯანმრთელი გარემო. ჩვენი რაიონის უნიკალური მდებარეობა მოგვცემს საშუალებას, ვაქციოთ იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ჰაბად, შევქმნათ გარემო, რომელიც გაზრდის მოსახლეობის შემოსავალს, ხელს შეუწყობს ბიზნესს.

დღეს ჩვენ სრულიად ახალ, განსხვავებულ რეალობაში ვცხოვრობთ. დღეს შეგვიძლია არჩევანის გაკეთება ძალდატანების, სამსახურის დაკარგვისა და შიშის გარეშე. „ქართულმა ოცნებამ" ამ ყველაფერს თქვენთან ერთად, თქვენი თანადგომით მიაღწია. სწორედ ამიტომ მაქვს იმედი, რომ ხმას მისცემთ წინსვლას, თავისუფლებას, სწრაფ განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას! მაქვს იმედი, რომ ზესტაფონელები არჩევანს ზესტაფონის სასარგებლოდ გააკეთებენ!

ზესტაფონი ირჩევს ზესტაფონელს!

კობა ლურსმანაშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი 51-ე ოლქში

ბაღდათი, ზესტაფონი, ხარაგაული

ჩემო ძვირფასებო! ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია, მოგმართოთ თქვენ, ქართველი ერის შვილებო, ქვეყნის მომავალზე სმენაგამახვილებულო ადამიანებო!

ჩემი ცხოვრების ორიენტირი მუდამ იყო და კვლავაც იქნება სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ბრძოლა სიმართლის, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის. ამ პრინციპით ვმოქმედებდი მაშინ, როცა გავხდი საქართველოს ეროვნული გმირის, შეუპოვარი და გაუტეხელი რაინდის, მერაბ კოსტავას თანამებრძოლი. 1988 წლიდან, როცა ძალებს იკრებდა და მოქმედების სფეროს იფართოებდა ეროვნული მოძრაობა, ბაღდათლებთან, ზესტაფონლებთან, ხარაგაულელებსა და სხვა კუთხის მამულიშვილებთან ერთად, ვკვეთდი იმ გზას, რომელზეც საქართველოს ბედნიერებამ გაიარა. თავდაუზოგავი, მიზანმიმართული ბრძოლით მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ, როცა კვლავ შეგვექმნა ბარიერები და საჭირო გახდა წართმეული თავისუფლების დაბრუნება, ბატონი ბიძინა ივანიშვილი წაგვიძღვა წინ და ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით, ისევ საიმედოდ ჩავჭიდეთ ხელი თავისუფლების დროშას. ამ გზით ვაგრძელებთ სვლას დღესაც.

ჩემო ძვირფასებო, ბაღდათელებო, ხარაგაულელებო, ზესტაფონელებო — ჩვენი სამომავლო გეგმების აღსრულება თქვენს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამ დიდ ბრძოლაში თქვენი თანადგომის იმედი მაქვს. გწამდეთ, არასოდეს გადავუხვევ არჩეულ გზას, ვიქნები საზოგადოებრივი ღირებულებებისა და ინტერესების ერთგული დამცველი. მთელ ჩემ ძალისხმევას მოვახმარ ადგილობრივი თვითმმართველობის მეტად გაძლიერებას. ჩვენ ერთად შევძლებთ ქვეყნის წინსვლას, განვითარებასა და თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენ ერთად გადავაქცევთ საქართველოს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ.

უფალი იყოს ჩვენი მიზნების შემწე და მფარველი!

ევა ხუტუნაშვილი: „ჯინი"-ს მთავარი იდეა ისაა, რომ ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ ერთმანეთს"

პირველი გვერდიდან

სპეკტაკლის მნიშვნელობისა და თავისი როლის შესახებ გვესაუბრა ქალბატონი **ევა ხუტუნაშვილი:** „მე და გივი კურსელები ვართ. საუკუნეა, ერთმანეთს ვიცნობთ. ჩემთვის ეს სპექტაკლი იმით არის საინტერესო, რომ ყველა თეატრს თავისი მუშობის სტილი აქვს. როდესაც სპექტაკლი ორკაციანია, მსახიობებს არა აქვთ ამოსუნთქვის საშუალება. ჩემთვის ეს არ არის პირველი, მაქვს მსგავს სპეკტაკლებში მონწილეობის დიდი გამოცდილება, თუმცა მაქვს დიდი ხნის პაუზაც და გადავწყვიტე, ისევ მეთამაშა.

რაც შეეხება ჩემს როლს, 2 მოხუცი ხვდება ერთმანეთს თავშესაფარში, ორივე მათგანი არის გარიყული, შიშველი, მარტოსული. მათ უყვარდებათ ერთმანეთი, მაგრამ ვერ გაუფრთხილდებიან ამ ურთიერთობას ბოლომდე. ეს შეიძალება ძალიან პათეთიკურად ჟღერს, მაგრამ სპექტაკლის მთვარი იდეა მაინც ისაა, რომ ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ ერთმანეთს."

ამ გამოწვევაზე და სპექტაკლის არსზე ასევე გვესაუბრა ბატონი **გივი ჩუგუაშვილი:**

„მთავრი არსი ის არის, რომ ამ სპექტაკლით ეს ორი შესანიშნავი თეატრი სიმბოლურად კიდევ უფრო დამეგობრდება.

კოტესი ძალინ კმაყოფიფლი ვარ, შესანიშნავი რეჟისორია. ამ სპექტაკლში ორ ადამინს მიჰყავს მთელი ორსაათიანი მოქმედება, რაც ფსიქოლოგიურდ ძალიან რთულია. სპექტაკლი არის ადამიანების შესახებ, როგორ შეიძლება, გაიტანონ ან ვერ გაიტანონ ერთმანეთი, ერთგვარ ბეწვის ხიდზე გვატარებს რეჟისორი.

ჩემი გმირი არის ადაამინი, რომელსაც ცხოვრებაში არაფრეში არ გაუმართლა. ის მარტოსულია. მის ცხოვრებაში მოულოდნელად ჩნდება ქალბტონი, რომელსაც თავიდან არ იკარებს, მაგრამ შემდეგ ცდუნებას ვერ უძლებს და ებმება ამ ურთიერთობაში, მაგრამ საბოლოოოდ, ისიც ტრაგიკულად სრულდება."

როგორც ხედავთ, სპექტაკლი ძალიან საინტერესო და ფილოსოფიურ შინაარსს ატარებს. ის ცხოვრებაზე, მოხუცებზე, მათ განცდებზე და იმედგაცრუებზე მოგვითხრობს. პიესის ძირითადი ხაზი შენარჩუნებულია, თუმცა სპექტაკლს თავიდან ბოლომდე გასდევს რეჟისორის ინდივიდუალური ხელწერა, მთავარი სათქმელისა და კონცეფციიდან გამომდინარე.

შეგახსენებთ, მსურველებს პრემიერის ნახვა შეგიძლიათ ლადო მესხიშვილის დრამატულ თეატრში 31 ოქტომბერს, 19:00 საათზე(ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში).

ლიკა დევდარიანი

„დედამ ნახა, რომ თამუნას აბაზანის ხალათის ქამრით თავი მოეხრჩო, ხელები კი ყელთან ჰქონდა მიბჯენილი"

წყალტუბოს რაიონში, სოფელ მაღლააკში 25 წლის თამუნა ჯიშკარიანმა თავი მოიკლა. რამ მიიყვანა ის ამ ზომამდე, ამის შესახებ საზოგადოებამ ჯერ არაფერი იცის. გამოძიება კი დაწყებულია სისხლის სამართლის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას ნიშნავს. ოჯახმა ექსპერტიზაზე უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თემა, როგორც სხვა ყველა მსგავსი შემთხვევა, ბოლომდე ვერასოდეს გაიხსნება. ვინ ან რამ მიიყვანა 25 წლის თამუნა თვითმკვლელოდამდე და რეალურად ჰქონდა თუ არა მას ნერვული პრობლემები, როგორც ამას დედა ამბობს, ამის გარკვევას შევეცადეთ მის კურსელებთან და მეგობრებთან, რომლებიც წლებია თამუნას იცნობენ.

თამუნა ჯიშკარიანი პროფესიით იურისტი იყო. მან სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო, ერთ წელში კი ის სასწავლებლად ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოვიდა, სადაც დაამთავრა ბაკალავრი სამართალმცოდნეობაში, მაგისტრატურა კი - სისსხლის სამართალში. გარდაცვალებამდე სტაჟირებას გადიოდა იურდიულ კლინიკაში.

თამუნას გახსენება ვთხოვეთ მის ერთ-ერთ კურსელს, რომელმაც ამჟამად სახელის და გვარის დასახელება არ ისურვა.

„ მეორე კურსზე ვიყავით, როცა თამუნა ჩვენთან გადმოვიდა, შემდეგ მაგისტრატურაზეც ერთდ ჩავაბარეთ. მან ერთი წელი აკადემიური აიღო, თუმცა, ფინანსური პრობლემები არასოდეს ჰქონია. მაშინ თქვა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო წინა წლებში გადატანილი სტრესისაგან. გვიყვებოდა, რომ სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა, შემდეგ კი რაღაც პრობლემების გამო, მეუღლეს გაშორდა. ჩვენს სხვა კურსელსაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა და მას რჩევებს აძლევდა, ამშვიდებდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ თვითონ ასე მოიქცეოდა.

სტუდენტობის პერიოდში გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, სახელმწიფო გრანტით იყო ჩარიცხული, უნივერსიტეტის სტიპენდიაც ჰქონა, ძლიან ნიჭიერი, ენერგიული, აქტიური და პოზიტიური გოგონა იყო. ჩვენი ჯგუფხელიც იყო. პარალელურად, ლექსებს წერდა, წყალტუბოს მწერალთა კავშირის წევრი იყო, ლექსების კრებულიც ჰქონდა გამოცემული. ძალინ უხაროდა, როცა პოეზიის საღამოებზე ეპატიჟებოდნენ. სტუდენტობის პერიოდში ვიღაცეებს ელაპრაკებოდა, გახარებული იყო, უნდოდა ახალი ურთერთობის დაწყება. მის შესახებ ყველაფრი კარგი მახსენდება და გული მწყდება, ასე რომ დაასრულა სიცოცხლე. შეიძლება, ზოგჯერ მართლა ჰქონდა რამე ნერვოზული სპაზმები, მაგრამ კურსელებს არასდროს არაფერი შეგვიტყვია. ქეიფს ვგეგმავდით ახლახანს კურსელები და იქაც აპირებდა წამოსვლას."

პანაშვიდზე მისულ კურსელებს დედამ მოუყვა, რომ ამ ბოლო პერიოდში თამუნა მკურნალობდა, თან სტაჟირებას გადიოდა იურიდიულ კლინიკაში. საღამოს 5 საათზე თავის ოთახში ავიდა მოსაწესრიგებლად და გარკვეული დროის მერე რომ აღარ ჩამოვიდა, დედამ ააკითხა და ნახა, რომ რომ თამუნა საწოლზე იჯდა, აბაზანის ხალათის ქამრით თავი მოეხრჩო, ხელები კი ყელთან ჰქონდა მიბჯენილი.

ის ფაქტი, რომ თამუნას თავისი ჯამრთელობის მდგომარეობის მიუხედავდა არსდროს ჰქონია სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები,მეტიც, სტაჟირებას გდიოდა საკმაოდ საპასუხიმგებლო სფეროში. და კიდევ ის ფაქტი, რომ გარდაცვლილს ხელები ყელთან ჰქონდა მიბჯენილი გარკვეულ ეჭვებს იწვევს, იმედია გამოძიება ამ შმთხვევაში მაინც შეძლებს თითკვლელობის გამოძიებას.

ლიკა დევდარიანი

30 ოქტომბერს შენი ხმა იგებს!

41

გენადი მარგველაშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი 47-ე ოლქში ქუთაისი, თერჯოლა

მოგესალმებით, ძვირფასო ქუთათურებო! უკვე მეოთხედი საუკუნეა ჩვენს ქალაქში განათლების სფეროს ვემსახურები. ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" წარმადგინა. მე მჯერა ამ გუნდის, მჯერა მათი გეგმებისა და იმედი მაქვს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ღირსეული ხმა ვიქნები ჩემი ქალაქელებისთვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და სრულყოფაზე, რადგან თავისუფალი აზროვნება აყალიბებს ღირსეულ პიროვნებებს, ღირსეული პიროვნებები ხელს უწყობენ ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარებას, ეს კი, თავის მხრივ, კეთილდღეობის საწინდარია. ეს საქმე ჩვენი ძალისხმევით, რუდუნებითა და ჩართულობით უნდა მოხდეს. წლების მანძილზე დიდი პედაგოგიური გამოცდილება დამიგროვდა. 2010 წლიდან ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორად ვმუშაობ. ვცდილობდი, ჩემი აღსაზრდელებისთვის სათანადო, ღირსეული გარემო შემექმნა. ვიბრძოლებ ჩვენი ქალაქის ინტერესების გატარებისთვის ყველა ინსტანციაში! თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის დიდი იმედი მაქვს!

სულხან მახათაძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი ჭიათურის 56-ე ოლქში

ძვირფასო ჭიათურელებო! ოთხი წლის წინ, როცა ჭიათურაში სამუშაოდ მოვდიოდი, კარგად მქონდა გაცნობიერებული, რა სირთულეებთან მომიწევდა გამკლავება, თუმცა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ჩემს გუნდთან ერთად თქვენს წინაშე ვიტვირთე, სტიმულს მაძლევდა პრობლემების დასაძლევად.

თქვენი თავდადების შედეგად, 2012 წელი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის, როცა თქვენ, ერთ მუშტად შეკრულმა ადამიანებმა, სწორი არჩევანი გააკეთეთ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

2012 წელს მძიმე მემკვიდრეობა გვერგო და 4 წელიწადში შეიძლება ბევრი რამ ვერ შევძელით, მაგრამ საქართველოს მთავრობის ძალისხმევითა და თქვენი თანადგომით, მაინც მრავალი სირთულე დავძლიეთ.

8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებია. უნდა გაგრძელდეს აღმშენებლობის პროცესი ჭიათურაში, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ყველა დაწყებული საქმე და გჯეროდეთ, თქვენი ნდობითა და მხარდაჭერით, ახლა უკვე საქართველოს პარლამენტიდან შევეცდები, ჩვენს ქალაქში ცხოვრება გაცილებით გაუმჯობესდეს.

მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ყველა ჭიათურელისადმი და დაგპირდეთ, საქართველოს მთავრობასთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენს ჭიათურას უკეთესი ხვალინდელი დღე ჰქონდეს. სწორედ თქვენი თანადგომითა და ჩვენი ძალისხმევით შევძლებთ ყველა პრობლემის დაძლევას. გჯეროდეთ, სადაც უნდა ვიყო, ყველგან თავდადებით ვემსახურები ჩემს ქვეყანასა და ჩემს ხალხს. უფალი შეეწიოს თქვენს ოჯახებსა და საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში!

დიმიტრი მხეიძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი ქუთაისის 48-ე ოლქში

ჩემო თანაქალაქელებო, ქუთასელებო! თქვენ ადამიანების საუკეთესო შემფასებლები ხართ. დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი მიცნობთ ექიმ დიმიტრი მხეიძეს თქვენი შვილებისთვის ნაცნობი სახელით – „დიტო ექიმი"... ვიცი, იცნობდით მამაჩემს, ასევე ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს – რკინიგზის საავადმყოფოს მთავარ ექიმს. თქვენი ბებიებისა და ბაბუების თაობა კარგად იცნობდა ბაბუაჩემს, ასევე დიმიტრი მხეიძესა და ასევე ექიმს. ვიდგეთ სიცოცხლის სამსახურში, ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. ჩემი შვილები მედიკოსთა ამ ჯაჭვში მეხუთე თაობაა... ქუთაისელები მიცნობენ, როგორც წარმატებული მონოპროფილური ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკის დამაარსებელს და მეკითხებიან: რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, რატომ მინდა, თქვენი მხარდაჭერა საქართველოს პარლამენტში მანდატის მისაღებად?

მე მინდა, დავდგე იმ პოლიტიკური ძალის გვერდით, რომელმაც ჯანდაცვა გახადა საყოველთაო და ხელმისაწვდომი, პაციენტს მიეცა არჩევანის უფლება, სახელმწიფო დაზღვევით იმკურნალოს იქ, სადაც უნდა და სიცოცხლის გადასარჩენად აღარავის სჭირდება საცხოვრებელი სახლების გაყიდვა. მხარს ვუჭერ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ბიზნესი ხელისუფლების ტერორისგან გაათავისუფლა და მეწარმეობის განვითარებისთვის მილიონიანი პროგრამები წამოიწყო. მე ქუთაისის ხვალინდელ დღეს ვხედავ იმ პროექტებში, რომლის განხორციელებაც პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის გუნდმა მიზნად დაისახა: ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომლის მშენებლობაშიც ნახევარ მილიარდზე მეტია გათვალისწინებული, ქუთაისს ტექნოლოგიური განათლების ქალაქად გადააქცევს, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებით, სტუდენტური პანსიონებით. ქუთაისი საერთაშორისო ბაზარზე გავა განათლების ექსპორტით. ქუთაისი გახდება სატრანსპორტო ლოჯისტიკური ცენტრი, ქუთაისის აეროპორტი იქნება რეგიონის ყველაზე დიდი და დაბალბიუჯეტიანი აეროპორტი. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში სწორედ ქუთაისი იქნება ტურისტული ნაკადების გამანაწილებელი. პრემიერი და მისი გუნდი, ესაა ძალა, რომელსაც შეუძლია, შემოიკრიბოს არა მარტო თანამოაზრეები, არამედ პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც კი. „ქართულ ოცნებას" შეუძლია, დადგეს ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა და გააერთიანოს ადამიანები პროფესიონალიზმის ნიშნით.

„ქართული ოცნება" – შენების გუნდია!

მე მეამაყება, ვიდგე ამ გუნდში და მონაწილეობა მივიღო ქვეყნის შენებაში. ესაა ჩემი გადაწყვეტილების მოტივი და ესაა ჩემი პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი. მე მაქვს თქვენი მხარდაჭერის იმედი.

კობა ნარჩემაშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს'' მაჟორიტარობის კანდიდატი ქუთაისის 49-ე ოლქში

ძვირფასო ქუთაისელებო! მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვყოფილვარ მძიმე გამოწვევებისა და რთული არჩევანის წინაშე, ღმერთის შეწევნით, ქვეყნისა და ოჯახის სიყვარულით, ყოველთვის ვირჩევდი იმ გზას, რომელიც თქვენამდე ღირსეულად მოსვლის საშუალებას მომცემდა.

დღეს მაქვს უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა, თქვენს წინაშე გულითადი მადლობა ვუთხრა საქართველოში გამორჩეულ პოლიტიკურ ძალას „ქართულ ოცნებას", რომელიც მენდო და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ასარჩევად, ჩემს მშობლიურ ქუთაისში, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარმადგინა.

„ქართულმა ოცნებამ", მოკლე დროში განხორციელებული ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებითა და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკით, უზრუნველყო საქართველოს თავისუფალი განვითარების რეალური პერსპექტივა.

ახლა უკვე სწრაფი განვითარების დროა!

სწორედ ამ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა, ჩემი ყველაზე დიდი გამოწვევაა და მზად ვარ მის მისაღებად.

მოგიწოდებთ, მხარი დავუჭიროთ ჩვენს გუნდს და ერთად გავიზიაროთ ქვეყნის წინსვლით გამოწვეული სიხარული. სწორედ თქვენი თანადგომითა და ნდობით შევძლებთ, ვემსახუროთ ხალხს.

პროფესიონალიზმით, პრინციპულობითა და ერთგულებით!

არჩევის შემთხვევაში, აღგითქვამთ, რომ თქვენს წინაშე ხშირად წარვდგები გაწეული საქმიანობის ანგარიშით და ეს არ იქნება მხოლოდ დაპირება, რადგან ქრისტიანული მორალის უზენაესობა გვკარნახობს მოქმედების მთავარ პრინციპს: „...ნუ აღუთქვამ და თუ აღუთქვამ, უნდა აღასრულო!"

ქართული ღვინის კულტურას პოლონეთში შეასწავლიან

ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას პოლონეთის ღვინის აკადემიის სკოლაშიშეასწავლიან. აღნიშნულის თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმითბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულ სააგენტოსა დაპოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდს შორის (Galicja Vitis)გაფორმდა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას პოლონეთში სხვადასხვამარკეტინგული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით. პოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდი თანამშრომლობს პოლონეთის ღვინის აკადემიასთან (Podkarpacka Akademia Wina, http://akademiawina.org/), რომლის ბაზაზეც 2015 წელს ქალაქ იასლოში ღვინის სკოლა ჩამოყალიბდა, სადაც ლექციებს ქართული ღვინის კულტურის შესახებ წაიკითხავენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი იმედოვნებს, რომ აღნიშნული მემორანდუმიკიდევ უფრო შეუწყობს ხელს პოლონეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტის გაზრდას.

„პოლონეთი ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია და ზოგადად ქართულ ღვინოს პოლონეთში დიდიპოტენციალი აქვს. ასევე ყოველწლიურად მზარდია პოლონეთიდან ღვინის ტურიზმი. ველოდებით, რომ ქართულღვინოს მომავალში უფრო და უფრო მეტი დამფასებელი ეყოლება. დღეს მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს, რომლისთანახმადაც ერთ-ერთ სასწავლებელში ქართული ღვინის შესახებ ლექციებს წაიკითხავენ. ჩვენ მათ ჩვენი მხრიდანდავეხმარებით ინფორმაციითა და სარეკლამო მასალის მიწოდებით და მაქსიმალურას ჩავერთვებით, რომ უფრომეტი კარგი ღვინო იყოს წარმოდგენილი პოლონეთში“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ორგანიზაცია “Gallcja Vltls” პოლონეთში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ღვინის კონკურსის Wlne Contest GALlCJA VlTlS-ის (http://gallcjaVltls.pl/en/) დამფუძნებელია. როგორც აღნიშნული ფონდის წარმომადგენელი,პოლონელი ღვინის მწერალი და ენოლოგი ვოიჩეკ ბოსაკი (Wojclech Bosak) აცხადებს, ქართული ღვინო საკმაოდპოპულარულია პოლონეთში, სადაც მაღაზიებში, ღვინის სახლებსა და რესტორნებში ქართული ღვინის ფართოარჩევანია.

„საქართველო სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება პოლონელი ტურისტებისთვის, ღვინის ტურიზმისთვის,მათთვის, ვინც დაინტერესებულია ნახოს ვენახები, ღვინის საწარმოები, მწარმოებლები და რაღა თქმა უნდადააგემოვნოს ღვინო. ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობის ხელშემწყობი ფონდის მიზანია მიაწოდოს საზოგადოებასმეტი ინფორმაცია ქართული ღვინის შესახებ, როგორც მწარმოებლებს, ასევე მომხმარებლებს. ჩვენ ვიმედოვნებთ,რომ ჩვენი თანამშრომლობა ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან დაგვეხმარება ხელი შევუწოთ ქართულ ღვინოს,რომელსაც დიდი ისტორია და კულტურა აქვს. ჩვენ გავაცნობთ ქართულ ღვინოს ჩვენი პროფესიონალურიმეღვინეობის სკოლის სტუდენტებს” - აღნიშნა ბოსაკმა.

მისივე თქმით, ქართული ღვინის მიმართ დიდი ინტერესია და ზოგიერთმა პოლონელმა მეღვინემ დაიწყო ღვინისწარმოება კახური მეთოდით. „რა თქმა უნდა, შედეგი ისეთივე არ არის, როგორიც კახეთშია, მაგრამ ეს პირველინაბიჯია. რაც შეეხება ჩვენი კონკურსის წესებს, გასულ წელს ჩვენ გვქონდა სპეციალური კატეგორია ჭაჭაზედაყენებული თეთრი ღვინოებისთვის, რაც უმეტესად ქართველ პოტენციურ მონაწილეებზე იყო გათვლილი. ეს მეტ შანსს აძლევს ქართულ ღვინოს, რომ სათანადოდ იყოს დაფასებული ჩვეულებრივ სტანდარტულ ღვინოებთანშედარებით” - აღნიშნა ვოიჩეკ ბოსაკმა.

პოლონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს. პოლონეთიექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია - 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1,6მლნ ბოთლზე მეტი ღვინო, რაც გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 47:-ით აღემატება.

მარი კირიაკიდის დებიუტი – ახალგაზრდული რომანი „მაპატიე სიყვარულისთვის“

როგორც ამბობენ, ახალგაზრდები კომპიუტერის ეპოქაში წიგნს საგრძნობლად დაშორდნენ. მეტიც, ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ საქართველო უწიგნური ქვეყნების ჩამონათვალში ლიდერობს. ძნელია, საზოგადოებაში დამკვიდრებული მენტალობის შეცვლა, თუმცა, როგორც ამ თაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა,უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან წიგნიერი თაობა მოდის. აქვე მინდა, ჩვენ მკითხველს უახლესი ამბის შესახებ მოვუთხრო, რომელიც ჩემი მოსაზრების ერთგვარი არგუმენტიც იქნება.

მარი კირიაკიდი



რამდენიმე დღის წინ, 22 წლის მარი კირიაკიდმა თავისი პირველი წიგნის - „მაპატიე სიყვარულისთვის“ - პრეზენტაცია მოაწყო წყალტუბოში, სასტუმრო „პრომეთეში“. მარი პროფესიით ჟურნალისტია და ის ამ რომანზე ბოლო ორი წელი მუშაობდა. წიგნი პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც შიძლება, ამ ჟანრის ავტორებს წაუყენონ ლიტერატურის კრიტიკოსებმა.

„რა ადგილი აქვს ადამიანს ამ უკიდეგანო სამყაროში? რჩება კი მასში გრძნობების დრო და განცდის უნარი?“ - ამ კითხვაზე პასუხს იპოვით მარი კირიაკიდის რომანში „მაპატიე სიყვარულისთვის“

რომანში წამოჭრილი პრობლემა მკაფიოდ გვიხატავს თანამედროვე წყვილების უთანხმოების რეალურ სურათს. წიგნი ორი ნაწილისაგან შეგდება და მასში აღწერილია ჩვენი თაობისა და დროებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ახალგაზრდა წყვილს, ელისს და ნიკოლასს, რომელთაც ერთმანეთი ძალიან უყვართ, არ რჩებათ დრო საკუთარი გრძნობებისა და ურთიერთობისათვის, რაც მათ შორის გაუცხოებისა და უმიზეზო დაშორების მიზეზი ხდება.

პროფესიით ჟურნალისტს, თუ რამ უბიძგა ამ რომანის დაწერისაკენ, ამას მისივე წიგნის ეპილოგში ამოიკითხავთ: „ წიგნის კითხვისას მინდა ჩაფიქრდეთ იმაზე, თუ უმნიშვნელო ნაბიჯმა რა მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს თქვენს ცხოვრებაზე. მე კი ვეცდები, ამ მონათხრობით შემოვიჭრა თქვენს არსებაში და სენტიმენტალური გრძნობები აღვძრა“.

როგორც აღვნიშნე, ეს წიგნი ახალბედა ავტორის დებიუტია, რომელიც ფართო საზოგადოებამ იხილა და უკვე თავისი მკითხველიც გაიჩინა.

რომანით მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ, თვითონ ავტორთან გვესაუბრება, რაზეც მარი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

გთავაზობთ ჩვენს დიალოგს მარი კირიაკიდთან:

- მარი, უპირველესად, მთელი რედაქციის სახელით გილოცავ რომანის „მაპატიე სიყვარულისთვის“ წარმატებულ პრეზენტაციას. თუ რატომ გადწყვიტე წიგნის დაწერა და რისი თქმა გინდოდა ამით, ეს კარგად გაქვს გამოკვეთილი რომანის წინათქმაში. მე, როგორც რიგით მკითხველს, ამ რომანის წაკითხვის შემდეგ სხვა კითხვები დამებადა, ძირითადად პერსონაჟების შესახებ.საერთოდ,ყველა ადამინს ჰყავს თავისი საყვარელი შემოქმედი. მაინტერესებს, ვინ არის შენი საყვარელი მწერალი და ვისგან აიღე იმპულსი წერის პროცესში? (მე, როგორც მკითხველმა, ეს რომანი ენობრივი და სტილური მახასიათებლებით ნიკოლორთქიფანიძის და ანა ფრანკის ნაწარმოებებს მივამსგავსე), ვცდები ?

-ჩემი საყვარელი მწერალია ნიკოლას სპარკსი. ვფიქრობ, მისი რომანები ძალზედ სასიამოვნო და მარტივი წასაკითხია. რაც შეეხება მიმბაძველობას,ანა ფრანკი ან თუნდაც, ნიკო ლორთქიფანიძე ჩემი თვალთახედვით საკმაოდ სხვა ტიპის მწერლები არიან, შესაბამისად, ვერ გავავლებდი პარალელს. მე მაქსიმალურად ვეცადე შემექმნა საკუთარი სტილი.

- წიგნის პირველ ნაწილში მხოლოდ ერთი მთავარი გმირის, მთლიანად ელის გრძნობები და განცდები გაქვს აღწერილი, მეორე გმირი - ნიკოლასი, მხოლოდ ერთხელ შემოგყავს, როცა ის და ელი მეგობრის ჯვრისწერაზე შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს. რატომ აღგვიწერ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის განცდებს ასე ძუნწად?

- თავს შევიკავებ ამ კითხვაზე გაგცეთ პასუხი.მკითხველისათვის მიმინდვია ამის განსჯა.

- როგორ ფიქრობ, ჩვენ დროში ბევრი ნიკოლასი ცხოვრობს?

-სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ არსებობენ ნიკოლასის სტილის თუ ხასიათის ადამიანები. ისინი დაუკვირვებლად, გაუაზრებლად ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რის გამოც შედეგი საბოლოოდ რჩება ცუდი,რაც თუნდაც ნიკოლასისა და ელის შემთხვევაში მოხდა. იმედი მაქვს, ეს წიგნი მაგალითი იქნება იმათთვის, რომლებიც ნიკოლასში ამოიცნობენ თავიანთ თავს.

- რისი თქმა გინდა რომანის მეორე ნაწილში ნოას პერსონაჟის შემოყვანით?

-ნოას პერსონაჟმა, პირველ რიგში, სხივი შესძინა რომანს. ამავდროულად, მისი საქციელები, ხასიათი, ქმედებების სიმარტივე, რომანტიულობა, ქალის დაფასება ამ ყველაფერს გაუსვა ხაზი. მისი პერსონაჟი თითქოს მისაბაძია და ჩემი ჩანაფიქრით ყურადღებიანი მკითხველის გონებაში შედეგს დადებს.

- როგორ ფიქრობ, მაინც რა ასაკის ადამიანებისთვისაა შენი რომანი?

-ყველა ასაკისთვის, გარდა ბავშვებისა. ახალგაზრდები, ვფიქრობ, შეძლებენ, გამოარჩიონ კარგი და ცუდი, შესაბამისად - წაკითხული გაიაზრონ და მოიქცენ ისე, როგორც ნოა.

რაც შეეხება მოზრდილ მკითხველს, ალბათ, დააფიქრებს , გაავლებიებს პარალელს წარსულთან და იმედი მაქვს, მიახვედრებს, შეადარებს მის თავს რომელიმე პერსონაჟს და დაფიქრდება იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო ერთ დროს ვიღაცისთვის.

- ცნობილი ფაქტია, რომ ქართველი მკითხველის ნდობის და აღიარების მოპოვება ძალიან რთულია. 22 წლის ასაკში მზად ხარ პრეტენზიული მკითხველის კრიტიკისთვის?

- მზად ვარ, რადგან არ არსებობს ნაშრომი, რომელსაც კრიტიკა არ მოსდევს . დადებითი და უარყოფითი მხარე თითოეულ ღვთის მიერ შექმნილ სულიერ თუ უსულო ქმნილებას აქვს. იდეალური არაფერი არსებობს და არც ჩემი წიგნი იქნება გამონაკლისი.

- იქნებ, გაგვიმხილო, რატომ ჰქვია რომანს „მაპატიე სიყვარულისთვის“

-ამჟამად თავს შევიკავებ, ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ.

ლიკა დევდარიანი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37°. ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**